P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

№ 17 (667) 27 მაისი - 2 ივნისი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

მეგა კრედიტი

Mega Credit

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45

ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

„ოცნების“ შოუ ვანოსთვის

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს 7-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაკავებულია და შვიდიდან თორმეტ წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი და კახეთის გუბერნატორი ერთად დააკავა. მერაბიშვილს სასამართლომ აღმკვეთი წინასაპატიმრო ღონისძიება შეუფარდა, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილი კი გირაოთი გაათავისუფლეს და ის უკვე ციხის გარეთ აკეთებს კომენტარებს საზოგადოებისათვის.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

გაუფრთხილებლად გათავისუფლებული თანამშრომლები დახმარებას ითხოვენ

ანჟელა ორჯონიკიძე: „ჩვენ გვყავს იურისტი და, შესაბამისად, კანონის გვერდის ავლა არ მოხდება“

ქუთაისის ეროვნული სამედიცინო ცენტრიდან 30-მდე თანამშრომელი, ცენტრში მიმდინარე რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის პროექტის ფარგლებში, სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაუშვეს. როგორც გათავისუფლებულები აცხადებენ, მათ საავადმყოფოსთან კონტრაქტი მიმდინარე წლის ოქტომბრამდე ჰქონდათ, თუმცა, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ისინი 16 მაისს საკონფერენციო დარბაზში დაიბარა და გამოუცხადა, რომ პირველი ივნისისთვის სამსახურები საკუთარი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პირად საქმეს გაუფუჭებდნენ, რის გამოც სხვა სამსახურშიც ვერ დაიწყებენ მუშაობას.

როგორც თანამშრომლები აცხადებენ, მათი გათავისუფლება გასულ წელსაც იგეგმებოდა, თუმცა, ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, გათავისუფლების პროცესი დროებით შეჩერდა. თანამშრომლები მათი დათხოვნის მიზეზად სწორედ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ასახელებენ და აცხადებენ, რომ საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ ისინი იმისათვის გაათავისუფლა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ უჭერდნენ მხარს.

ნანული გიორგაძე, ეროვნული სამედიცინო ცენტრის ადვოკატი: „გათავისუფლებულ თანამშრომელთა შორის 20 ადამიანი მუშაობდა ყოფილ დედათა და ბავშვთა სამსახურში, რომელიც „ალდაგი ბი სი აის“ კუთვნილმა „ჩემი ოჯახის კლინიკამ“ შეიერთა. ჯერ ერთი, საკითხავია, რატომ გაანადგურეს ასეთი მნიშვნელობის სამსახური, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს წარმატებით ემსახურებოდა! მეორეც — სამშობიარო ისეთი ფაქიზი თემაა, რომ მას აუცილებლად ესაჭიროება ადვოკატი, თუმცა, ჩემს ამჟამინდელ მოვალეობას, საავადმყოფოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არა ადვოკატობა, არამედ მხოლოდ მეთვალყურეობა წარმოადგენს. ისეა ყველაფერი სახეშეცვლილი, რომ აქ თავმოყვარე ადამიანი არც უნდა ჩერდებოდეს, მაგრამ დღეს რა მუშაობს, რომ სხვაგან წავიდე! იძულებულს ხდიან ხალხს, საზღვარგარეთ წავიდნენ. მე, პირადად, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან ვარ და ეს სამსახური ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ასე უმიზეზოდ რომ მიშვებენ, ეს სწორი საქციელია ადმინისტრაციის მხრიდან?“

გაგრძელება მე-3 გვერდზე

26 მაისისთვის მერიაში პრემიებს ისევ არიგებენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქურდობასა და ბანდიტიზმში ბრალდებული ძებნილი 20 წლის შემდეგ დააკავეს

იხილეთ მე-5 გვერდზე

ერთ საათში ქუთაისში 5 მაღაზია დააყაჩაღეს

იხილეთ მე-5 გვერდზე

„დამნაშავე“ ვიდეოთვალი

იხილეთ მე-6 გვერდზე

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4 პროცენტით შემცირდა

იხილეთ მე-7 გვერდზე

USAID-მა და დევნილთა სამინისტრომ ქუთაისში ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს

იხილეთ მე-6 გვერდზე

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2030 წელს ღარიბები აღარ იქნებიან

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

Press-კლუბი „საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა (Strongmen) ფედერაციას“ მასპინძლობდა

იხილეთ მე-7 გვერდზე

წყალში გადაყრილი ათასები

იხილეთ მე-4 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ჰოროსკოპი — 8. | სკანვორდი — 8.

26 მაისისთვის მერიაში პრემიებს ისევ ირიგებენ

ქუთაისის მერიაში 685 კაცი 350000 ლარის ფარგლებში ერთი თვის ოდენობით პრემიას ისევ მიიღებს. ამის შესახებ 24 მაისს გამართულ ბრიფინგზე პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გოგი წულაიამ განაცხადა.

„მაქვს ინფორმაცია, რომ მერიაში კიდევ აპირებენ პრემიების გაცემას. ეს იქნება რიგით მეოთხე პრემია 26 მაისისთვის. ამას იღებენ აქციებზე სიარულში. უნდათ, რაც შეიძლება მეტად გამოხრან ეს ქალაქი. ნუ გაბედავთ, ნუ ითავხედებთ!" — აცხადებს წულაია.

გავრცელებულ ინფორმაციას პრემიების გაცემის თაობაზე ადასტურებს ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი ნიკო კაჭკაჭიშვილი.

„ქალაქ ქუთაისის მერიის ბიუჯეტში ჩადებულია ოთხი დამატებით ხელფასი, რომელიც დაკავშირებულია დღესასწაულებთან. პრემია გაიცემა 26 მაისსაც. როცა გვაბრალებენ, უკანონოდ ხდება ამხელა თანხების გაცემა, არის აბსურდი. რომელი ჭკუათმყოფელი გასცემს უკანონოდ ასეთ დიდ თანხას?! პრემიას აიღებს 685 კაცი, ერთი თვის ოდენობით — 350 000 ლარს, — აღნიშნავს კაჭკაჭიშვილი.

შეგახსენებთ, რომ მერიაში პრემიები სააღდგომოდაც დარიგდა.

ქეთევან ლეგაინიძე
psnews.ge

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

P — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
ბ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

„ოცნების" შოუ ვანოსთვის

ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს 7-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება

პირველი გვერდიდან

კახეთის გუბერნატორი მისი და მერაბიშვილის დაკავებას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს და ამბობს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას დღის წესრიგს უფლებადამცველები უდგენენ.

„თუხელისუფლებაუფლებადამცველების — ნანა კაკაბაძისა და მელორ ვაჩნაძის მოთხოვნებით მოქმედებს, ისეთ ურჩხულს გაათავისუფლებს, რომლის კონტროლი შეუძლებელი გახდება," — ამბობს ჭიაბერაშვილი.

მისივე თქმით, მაშინ როცა წინ ვილნიუსის სამიტია და საქართველო ნატო-ს კარებზე აკაკუნებს, თუ ხელისუფლება ვაჩნაძის, კაკაბაძის და გაზეთ „ასავალ-დასავალის" იდეოლოგიით მოქმედებს, ეს ყველაფერი ქვეყნის იმიჯზე მეტად ცუდად აისახება, რადგან ქვეყნის ყოფილი პრემიერისა და მინისტრის დასაპატიმრებლად ძალიან სერიოზული მიზეზია საჭირო.

„თქვენ გახსოვთ ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ ან „ნაციონალური მოძრაობა" კრიტიკას შეწყვეტს, ან დაპატიმრებები გაგრძელდება. შესაბამისად, არავის ეპარება ეჭვი, რომ ჩვენ პოლიტიკური დევნის მსხვერპლები ვართ," — აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

პროკურატურის მიერ გამოძიებული ეპიზოდები

მთავარი პროკურატურა ყოფილ პრემიერ-მინისტრს კორუფციაში და ამომრჩევლის მოსყიდვაში სდებს ბრალს. გამოძიება ამბობს, რომ ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრებით პარტიის ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად 5,2 მლნ ლარი უკანონოდ ჩაურიცხა, დაახლოებით, 22 ათას პირს, თითოეულს — 240 ლარის ოდენობით.

„მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი," — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში. სწორედ ბრალის ამ ეპიზოდთან დაკავშირებით დააკავეს კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც მერაბიშვილის მთავრობაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გახლდათ.

რაც შეეხება სანდრო გირგვლიანის გამოძიებასთან და 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით ყოფილი პრემიერის ბრალეულობას, როგორც მთავარი საგამოძიებო ორგანო აცხადებს, გამოძიება, პრაქტიკულად, უკვე დასრულებულია და მერაბიშვილს ამ მიმართულებით ბრალი უახლოეს ხანში წაეყენება. ჯერჯერობით კი, ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი გისოსებს მიღმა კორუფციის ბრალდებით აღმოჩნდა.

ოპოზიციური პარტიისათვის მიყენებული დიდი დარტყმა?!

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის დაკავება, ადამიანური თვალსაზრისით, ძალიან დიდი დარტყმაა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არათუ შეწყვეტს ან შეასუსტებს ბრძოლას, არამედ, უფრო დიდი შემართებით შეებრძოლება მთავრობის უგუნურ და საქართველოსთვის დამღუპველ პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. „ნაციონალური მოძრაობა" ყოველთვის მზად იყო და მზად იქნება, იყოს ეროვნული ღირებულებებისთვის ბრძოლის წინა ხაზზე," — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა **დავით ბაქრაძემ** პარტიის სახელით განცხადების გაკეთებისას.

„ნაციონალები" მიიჩნევენ, რომ ძირითადი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივნის და ქვეყნის ერთ-ერთი რეალური საპრეზიდენტო კანდიდატის დაკავება მიანიშნებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ძალის გამოყენებით გაანადგუროს პოლიტიკური ოპოზიცია ქვეყანაში.

„ხელისუფლების კამპანია შენიღბულია სამართლიანობის აღდგენით და სინამდვილეში წარმოადგენს ძალადობის გზით პოლიტიკური ნიშნით დევნის კლასიკურ ნიმუშს," — ნათქვამია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებაში. ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში დატოვება არაადეკვატურია და ნათლად აჩვენებს, რომ ეს პოლიტიკური დევნაა.

გარდა ამისა, მერაბიშვილის ერთ-ერთი ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი განმარტავს, რომ ვანო მერაბიშვილისთვის, ისევე, როგორც კახეთის გუბერნატორის ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის ბრალის წაყენება არაუფლებამოსილი პირის მიერ მოხდა.

„ბრალი უნდა წაეყენებინა ან იუსტიციის მინისტრს, ან მთავარ პროკურორს. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველს, ის საკმარისი არაა მერაბიშვილისთვის პატიმრობის შესაფარდებლად, რადგან მერაბიშვილი საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზე გამოძახებისთანავე მიდიოდა და მის მიერ ქვეყნის დატოვების საშიშროება არ არსებობდა. იგივე შეიძლება, ითქვას ზურაბ ჭიაბერაშვილზე," — განაცხადა **გიორგი ჩივიაშვილმა.**

მისივე თქმით, ბრალმდებლის ის არგუმენტი, რომ მერაბიშვილმა საზოგადოებრივ აზრზე შეიძლება, გავლენა მოახდინოს, სავსებით ბუნებრივია.

„მერაბიშვილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი იყო და გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა შეუძლია," — აღნიშნა ჩივიაშვილმა.

არის თუ არა მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარი?!

„ნაციონალური მოძრაობა", რომელიც თავს ძირითად ოპოზიციურ პარტიად აცხადებს, ფიქრობს, რომ ეს პოლიტიკური დევნაა, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს სამართლიანობის აღდგენაა. პრემიერი კი ამტკიცებს, რომ საერთოდ არ ერევა გამოძიებაში.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

ვანო და იულია

ყველას კარგად ახსოვს, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი, ყველაზე შარმიანი საყრდენი ამბიციური ირაკლი ოქრუაშვილი იყო, რომელსაც შემდეგ ივანე მერაბიშვილი ჩაენაცვლა. პოლიციელებს ვანო მერაბიშვილი უყვარდათ, რადგან მას ჰქონდა ის თვისებები, რის გამოც ხელმძღვანელი მოსწონთ. ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე მისი ცხოვრების სტილია, თუმცა, თავიდან ფიქრობდნენ, რომ მერაბიშვილს საუბარი არ ეხერხებოდა და ამიტომაც იყო სიტყვაძვირი.

შარშანდელ 1 ოქტომბრამდე „ნაციონალური მოძრაობა" გრძნობდა, რომ საქმე — არ იყო კარგად და ვანო მერაბიშვილიც ალაპარაკდა. ისეთი რა გაუჭირდათ „ნაციონალებს", ვანოც რომ ალაპარაკდაო, — კითხულობდნენ და, მართლაც, თურმე დიდი გასაჭირი იდგა 9 წლის პარტიისთვის. გასული წელი „ნაციონალური მოძრაობისთვის" დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა. ბაჩო ახალაიას დაკავებით სამეგრელოში დასრულდა ახალაიების ოჯახის შიშის ზარდამცემლობის ეტაპი. მართალია, მის მხარდასაჭერად აქციები კი მოაწყვეს დანარჩენმა „ნაცებმა", მაგრამ „ქოცები" იძახდნენ, ბაჩოს ოჯახი განაწყენებულია, რაღაც მეტს ელოდნენ ახალაიები თავად პრეზიდენტისაგანაც, მაგრამ ყველას თავისი ტყავი ადარდებს და კოჰაბიტაციაზე იმიტომაც ჩიჩინებდნენ, იქნებ გაჭრასო.

საქართველოს მოსახლეობა კი სამართლიანობის მოლოდინში იყო და ერთი ბაჩოს დაკავება მათთვის გაცილებით ცოტა აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. სულსწრაფთა სურვილის დასაკმაყოფილებლად თბილისის მერს დაეჯახა პროკურატურა, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს, რადგან კუბლაშვილის სასამართლო იდგა იქ, სადაც უნდა მდგარიყო. მოსამართლეებს კი სხვაგვარად არ ძალუძთ, რადგან კუბლაშვილი სასამართლო სისტემის მაესტროა.

არც ისე დიდი ხნის წინ პრემიერისა და კუბლაშვილის შეხვედრა მოეწყო, რომლის ფინალმა აჩვენა კმაყოფილსახიანი „უცხოპლანეტელი" კუბლაშვილიც და „გასწორებულში მყოფი" პრემიერი ივანიშვილიც. სავარაუდოდ, სასამართლო გაჰყვება კანონმდებლობის მოთხოვნებს და არა „ნაციონალური მოძრაობის" სარეაბილიტაციო კურსს.

ბაჩო ახალაია იყო ერთი იმ „ლუკმათაგანი", რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ" ზურგსუკან მოისროლა.

დიდი კონსტანტინე როგორ გადაურჩა კომუნისტური პარტიის რისხვასო, ერთხელ მკითხეს და იქვე საიმედო პასუხიც მოაყოლეს: კონსტანტინე ჰგავდა იმ კაცს, რომელსაც უზარმაზარი პური მიჰქონდა სახლში და გზად დამხვედრ ნაგაზებს ლუკმებს უყრიდა, რომ მეტი წილი შინ მიეტანა და პურიანად არ გადაესანსლათ ძაღლებსო. ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის" სტრატეგიაც იგივეა. ოღონდაც გადარჩნენ და სხვისი დარდით მაინცდამაინც აღარ იწუხებენ თავს, რადგან საწუხარი თავისი აქვთ. ძნელად დააჯერებთ ვინმეს, რომ „ნაცმოს" ბირთვში ვინმე უცოდველია. ერთმა ჩემმა ნაცნობმა ვანოს დაკავების შემდეგ ასეთი რამე თქვა (სტილი დაცულია):

„მოკლედ, საერთოდ არ მწყენია ვანოს დაკავება (არც გამხარებია). ვთვლი, რომ მაგ კაცს ბევრი აქვს მიქარული, თუმცა მე არ ვარ გამოძიება და არ ვარ კბილაშვილი. ჩემი აზრით, ვანომ ძალიან დიდი როლი შეასრულა „ნაცმოძრაობის" გაბანძებაში. მოკლედ, არაა ეგ კარგი კაცი (გირგვლიანის საქმე მაღელვებს ყველაზე მეტად). ასევე მგონია, რომ მაინცდამაინც დღეს მისი დაკავებით ხელისუფლება შეეცადა, გადაეფარა 17 მაისის ამბები. ჰოდა, ვინაიდან და რადგანაც მე ვანო ცალ ფეხზე მკიდია და ვინაიდან და რადგანაც არ მკიდია 17 მაისის ამბები, დიდი სურვილი მაქვს, ვანოს მეზობელ კამერაში კანონდამრღვევი და მოძალადე მღვდლებიც ვიხილო. ვიმედოვნებ, მართო მე არ ვფიქრობ ასე და ის ხალხი, ვისაც 17 მაისის ამბები აინტერესებს, კვლავ ვკონცენტრირდებით იმ დღის „გმირების" საქციელის პროტესტზე".

იყო მცდელობა ვანოს და იულიას პარალელურ პოლიტიკურ ფიგურებად წარმოჩინებისა, მაგრამ ეს ნაკლებად მოხერხდება. რადგან მიშას პროლეტარული ზღაპრების მიხედვით, ვანო (ზურაბ ვარშალომიძის არ იყოს) გაღლეტილია და მამის „კამაზის" შემოსავლებით გააქვს თავი (რატომღაც დაავიწყდა, რომ ჟენია მერაბიშვილის ხელფასიც წაემატებინა კვარიათული ფეშენაგარაკის „გასაპრავებლად"). მკითხავთ, რატომ პროლეტარული ზღაპრებიო?! იმიტომ, რომ ჩვენი მენტალობა ჯერ კიდევ ვერ გასცილდა პროლეტარულ აზროვნებას და კარგად მუშაობს მასაზე პროლეტარული ზღაპრები. იულია ტიმოშენკო პროლეტარიატის წარმომადგენელი ნამდვილად არ ყოფილა, ის ყოფილი სსრკ-ს მასშტაბით ყველაზე მდიდარ ქალად ითვლებოდა და გაზის დედოფლის ტიტულს ატარებდა.

ახლა კი იმაზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა, ხომ არ განმეორდება გიგი უგულავას შემთხვევა და ხომ არ გაუშვებს სასამართლო დარბაზიდანვე ივანე მერაბიშვილს! სასჯელის გარეშე, სავარაუდოდ, მერაბიშვილი, ამჯერად ვერ გადარჩება. ის ერთგვარი განტევების ვაცია „ნაციონალური მოძრაობისთვის" და, თუნდაც, ყოფილ მმართველ ძალას აწყობს კიდეც მისი დაკავება, რადგან ეს იქნება ორთქლის გამოშვება. ახლა სასამართლო სისტემაც თავგადარჩენაზეა გადასული და ვერ წაჰყვებიან მოსამართლეები პოლიტიკურ მოუსავლეთში თითოეულ „ნაციონალს".

...არ გაუშვეს.

როლანდ ხოჯანაშვილი

გაუფრთხილებლად გათავისუფლებული თანამშრომლები დახმარებას ითხოვენ

ანჟელა ორჯონიკიძე: „ჩვენ გვყავს იურისტი და, შესაბამისად, კანონის გვერდის ავლა არ მოხდება"

პირველი გვერდიდან

ხათუნა ჩოგოვაძე, ეროვნული სამედიცინო ცენტრის ეკონომისტი: „როგორ შეიძლება, ხელშეკრულების დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე, ახსნა-განმარტების გარეშე, გაათავისუფლო თანამშრომლები! ეს არაა რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის ფარგლებში მიმდინარე პროცესი, უბრალოდ, ხელმძღვანელობას არ მოსწონს ის, რომ ჩვენ მათ ყოველ უსაფუძვლო მოთხოვნას არ ვასრულებთ, რაც გახდა კიდეც ჩვენი გათავისუფლების მიზეზი. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ სამსახური შევინარჩუნოთ. დავუკავშირდით პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელს, ეკა ბესელიას და ჩვენი მდგომარეობის შესახებ ვაცნობეთ, ასევე საქმის კურსში ჩავაყენეთ კობა დავითაშვილი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ვიბრძოლებთ და ჩვენს უფლებებს ბოლომდე დავიცავთ, ვინაიდან, ჯერ ერთი, რომ გვიყვარს სამსახური, რომელსაც ამდენი წელია ვემსახურებით, და მეორეც, ჩვენ ამ ხელფასზე ვართ დამოკიდებული, ყველა ჩვენგანს ბანკიდან სესხი გვაქვს გამოტანილი და სამსახურის გარეშე როგორ გადავიხდით? ჩვენზეც ხომ უნდა იფიქროს ვინმემ?"

ქეთევან ხუჭუა, ეროვნული სამედიცინო ცენტრის ეკონომისტი: „13 წელია, ამ დაწესებულებაში ვმუშაობ, საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტი ვარ. რასაც აკეთებს „ალდაგი ბი სი აი", მონაცემები ზოგმა მეტად, ზოგმა ნაკლებად იცის, მაგრამ დროა, უკვე გამოვიდეს სააკარაოზე მათი ეს ქმედებები და დაესვას ყველაფერს წერტილი. ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა, აი, ამის შესახებ მივმართეთ ეკა ბესელიას და ველოდებით მისგან პასუხს. გვინდა, ვიდრე ხელმძღვანელობა თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს, დავასწროთ და ვაცნობოთ მათ, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს თანამშრომელთა ასეთი შევიწროება. ჩვენ ყოველთვის ზეწოლის ქვეშ ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკიდან თვეში საშუალოდ ორმილიონნახევრამდე ლარის შესრულება შედის, საფინანსო სამსახურის უფროსი არ დაინტერესებულა, ვინ აკეთებს ამ სამუშაოს. ნუთუ შეიძლება, რომ არ დაინტერესდეს ადამიანი, ვინ აკეთებს ამ საქმეს? ხდება ისეც, რომ არასამუშაო საათებშიც ვმუშაობთ. ძალიან ძვირადღირებულია აქ მკურნალობა, მაგრამ, ვინაიდან გამოსავალი არ აქვთ პაციენტებს და სხვაგან ვერსად ვერ მიდიან, დღეში მინიმუმ 10 პაციენტი ხელშეკრულებას აფორმებს, რადგან მათ არ აქვთ საშუალება, იყვნენ გადამხდელუნარიანები. მე, პირადად, გახსნის დღიდან ვმუშაობ აქ, თუკი არაკვალიფიციურები ვიყავით, სამი უფროსი გამოვიცვალეთ და რატომ აქამდე არ გაგვიშვა? მაგრამ ახალ ხელმძღვანელობას ჩემი განსხვავებული აზრის და შეწინააღმდეგების გამო არასოდეს ვჭირდებოდი. როდესაც მოხდება რეფორმა, ერთ სამსახურში ეკონომისტების და პროგრამების სამსახურები გაგვაერთიანეს, სავარაუდოდ, ათკაციანი შტატით. ამათგან ეკონომისტის განათლება აქვს ოთხს. აქვს თუ არა სამედიცინო განათლების მქონე ადამიანს იმის შესაძლებლობა, იმუშაოს პაციენტის ფინანსურ ანგარიშზე, აკეთოს ჩანართი და კალკულაციები ფინანსური კუთხით და მას, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდეს სტაჟი იმ ოდენობისა, რაც ჩვენ გვაქვს? მე, პირადად, არ ვაპირებ ამ ეტაპზე გაჩერებას, რადაც არ უნდა დამიჯდეს, სტრასბურგამდეც კი ჩავალ, რადგან ჩვენი უფლებები შეილახა; ჩვენ, თავმოყვარე ადამიანები, უთავმოყვარეები გაგვხადა, რადგან 850 კაციან კოლექტივში, გამორჩეულად მოხდა ჩვენი გაშვება. თანამშრომლები გაოგნებული გვიყურებენ და თვალს ვერ გვისწორებენ."

რატომ მოხდა თანამშრომელთა დათხოვნა გაუფრთხილებლად, რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის ფარგლებში რამდენი თანამშრომლის გათავისუფლება იგეგმება და რა დარღვევები აქვს „ალდაგი ბი სი აის" თანამშრომლებთან ურთიერთობაში? — ამის შესახებ გვესაუბრება ცენტრის ხელმძღვანელი **ანჟელა ორჯონიკიძე:**

— დასავლეთ საქართველოს ეროვნულ სამედიცინო ცენტრში თანამშრომლების საერთო რაოდენობა არის 760, საავადმყოფო კი გათვლილია 220 საწოლზე. ეს 760 ადამიანი შედგება, როგორც უმაღლესი სამედიცინო პერსონალის, ანუ ექიმებისგან, საშუალო მედპერსონალის, ანუ მედდების, მედდის თანაშემწეებისა და სანიტრებისგან, ასევე — სამეურნეო-ეკონომიური სამსახურის, ანუ ადმინისტრაციული ნაწილისგან, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ პერსონალმა შეუფერხებლად შეასრულოს ეს სამედიცინო საქმიანობა.

ეროვნული სამედიცინო ცენტრი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს საქართველოში ერთ-ერთი დიდი სამედიცინო ცენტრის — „ჩემი ოჯახის კლინიკისა", რომელიც შედგება 33 კლინიკისგან. ეს დიდი ქსელი მუდმივად ზრუნავს იმისთვის, რომ მუდმივად იყოს დახვეწილი ელექტრონული სერვისები, დაინერგოს ახალი პროგრამები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს და აჩქარებს საქმის შესრულებას და, შესაბამისად, ერთი და იგივე მოცულობით შესრულებული სამუშაო შეიძლება განხორციელდეს გაცილებით მოკლე დროში — გაცილებით ხარისხიანად, გაცილებით ნაკლები სამუშაო ხელებით. ამას ვაკონკრეტებ ერთმნიშვნელოვნად. თანამშრომლებს ვაცნობეთ, რომ 1 ივნისიდან — ვადაზე ადრე, ხელშეკრულების გასვლამდე გათავისუფლება, არის ზუსტად ამ ცვლილებიდან გამომდინარე, ანუ ქსელში ელექტრონული პროგრამის დანერგვამ მნიშვნელოვნად გაამარტივა პაციენტების აღრიცხვიანობა, სტატისტიკა. შესაბამისად, ის შემცირება, რომლებიც ამ რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა, იყო ერთმნიშვნელოვნად სამეურვეო და ადმინისტრაციული კადრის ხარჯზე, ანუ იქ, სადაც ახალი ნოვაციები დავნერგეთ, რეორგანიზაცია არა მხოლოდ ამ კლინიკაში, არამედ, ზოგადად, მთელ ქსელში მოხდა. ეს ოპტიმიზაცია დასრულებულია და ვინაიდან 760 ადამიანიდან გათავისუფლებულია 28, ეს მნიშვნელოვნად არ შეუშლის ხელს საავადმყოფოს შემდგომ მუშაობას. ერთპიროვნულად ვადასტურებ, რომ ამით ოპტიმიზაცია დასრულებულია. თუკი ვინმემ ადმინისტრაციული გადახრა ჩაიდინა, ანდა არაპროფესიონალიზმის გამო სამედიცინო ლიცენზია შეუჩერდა და ა.შ. ამ მიზეზით გათავისუფლება არც მომავალში არის გამორიცხული, მაგრამ რეორგანიზაციის ფარგლებში ეს პროცესი დასრულებულია.

— ვინაიდან გათავისუფლება კონტრაქტის დასრულებამდე მოხდა, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პროცესი კანონის გვერდის ავლით განხორციელდა?

— მოგეხსენებათ, რომ ვართ დიდი ქსელი, რომელსაც ჰყავს შესაბამისი იურიდიული სამსახური, ის, რა თქმა უნდა, მსგავს საკითხებს არეგულირებს და არ დაუშვებს იმას, რომ კანონიდან გადახრა განხორციელდეს. გიდასტურებთ, რომ ამ თანამშრომლებს ნამდვილად ჰქონდათ 6 თვიანი ხელშეკრულებები გაფორმებული, ასევე გიდასტურებთ იმას, რომ ვადაზე ადრე მოხდა ხელშეკრულებების შეწყვეტა, რომელიც არანაირად არ მოდის შეუსაბამობაში შრომის კოდექსთან, მით უმეტეს, იმ კომპენსაციით, რომელსაც უკეთებს დაწესებულება ამ თანამშრომლებს — ეს არის ერთი თვის შესაბამისი ხელფასი და გამოუყენებელი შვებულების შესაბამისი კომპენსაცია.

— რამდენადაც ცნობილია, 1 ივნისიდან ძალაში შედის ახალი შრომის კოდექსი, რაც დამსაქმებლებს რიგ შეზღუდვებს უწესებს თანამშრომლებთან მიმართებაში. დაჩქარებული წესით გათავისუფლება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ახალი კანონის შემოღებამდე ასწრებთ კადრების შემცირებას?

— ახლა ვარაუდების დონეზე ნუ ვისაუბრებთ, გეტყვით, რომ ეს ვარაუდი არასწორია.

— საქმის შესახებ უკვე ეცნობათ პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას, პარლამენტის წევრს კობა დავითაშვილს და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, შესაძლებელია თუ არა მათი მითითებების გამო მოხდეს საქმის გადახედვა?

— საქართველოში ამას არეგულირებს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და ყველა სხვა პიროვნებას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამ საკითხს არეგულირებს სასამართლო.

— თანამშრომლები აცხადებენ, რომ გათავისუფლებული კადრების შერჩევა პოლიტიკური ნიშნით მოხდა. რას უპასუხებთ მათ?

— სრული გულწრფელობით შემიძლია გითხრათ, რომ უახლოესი ორი თანამშრომლის (რომლებიც საქმეთა მმართველები არიან) პოლიტიკური მსოფლმხედველობითაც კი არა ვარ დაინტერესებული, არათუ სხვა თანამშრომლებისა! ამ კლინიკაში პოლიტიკური ნიშნით არც ერთი თანამშრომლის მიმართ ადმინისტრაციის ხედვა არ არის, პირიქით, მეტს გეტყვით, რომ ამ კლინიკის კედლებს შიგნით პოლიტიკური განცხადებები არ კეთდება. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი საქმე და პასუხისმგებლობა — 220 საწოლზე გაშლილი, საქართველოში ერთ-ერთი ძალიან დიდი კლინიკა, რომელსაც აქვს 90 პროცენტამდე დატვირთვა ყოველდღიურად და ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. ამ საკითხით ნამდვილად არა ვართ დაინტერესებული. პოლიტიკოსები მიხედავენ პოლიტიკას, სამედიცინო პერსონალი კი — სამედიცინო საკითხს.

— საუბრობენ იმაზეც, რომ კლინიკის ხელმძღვანელობას არ აქვს კარგი დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ, რაც მათი უფლებების დარღვევაში გამოიხატება. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

— რას ნიშნავს არაკეთილი დამოკიდებულება? არასამუშაო დღეებში მუშაობა კლინიკის თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის არაკეთილ დამოკიდებულებასთან რანაირ კავშირშია, ვერ გეტყვით. ამ ფაქტზე პირადად ჩემი დამოკიდებულება თუ გაინტერესებთ, 760 თანამშრომელთან მაქვს ძალიან კეთილი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ძალიან დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც კეთილსინდისიერად და პროფესიონალიზმით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. თუ ვინმეს მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან არის რაიმე არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ამაზე პასუხს, ალბათ, ის მხარე მოგცემთ, მაგრამ, თუ ჩემგან გაინტერესებთ კონკრეტულად, უნდა დამისახელოთ ადამიანი და იმ ადამიანზე გიპასუხებთ.

***

რამდენად კანონიერია კონტრაქტის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე თანამშრომელთა გათავისუფლება მხოლოდ რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის ფარგლებში, ამის გარკვევას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალში შევეცადეთ.

„კონკრეტულად ეროვნული სამედიცინო ცენტრის შესახებ ამ დროისათვის ვერაფერს გიპასუხებთ, რადგან მიმდინარეობს საქმის შესწავლა, ზოგადად კი, საქართველოს მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე „დ" ქვე პუნქტის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, თავისი ნებით მოშალოს დასაქმებულთან ხელშეკრულება, ამასთან ერთად დასაქმებულს მიეცემა ერთი თვის კომპენსაცია. გარდა ამისა, დამსაქმებელს არავითარი ვალდებულება არ გააჩნია თანამშრომელთა მიმართ. ამ კუთხით ჩვენ მოქალაქეები ხშირად მოგვმართავდნენ, ისინი ჩიოდნენ სამსახურიდან ნაადრევად გათავისუფლების გამო. სამწუხაროდ, ერთი პერიოდი, იყო ტენდენცია სასამართლოში — რაკი დამსაქმებელს ჰქონდა უფლება, მოეშალა ხელშეკრულება თავისი ინიციატივით და არ სჭირდებოდა არავითარი დასაბუთება, შესაბამისად, არც საქმის განხილვა მოხდებოდა. ამ კუთხით იცვლება მდგომარეობა და, ახალი კანონით, დასაბუთების გარეშე, დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლა მართლმსაჯულების გვერდის ავლით შეუძლებელი იქნება," — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას საია-ს ქუთაისის ფილიალის იურისტმა **გიორგი ჭიქაბერიძემ.**

ნესტან ჩაგელიშვილი

„პატრიოტების" ლიდერს უჩივლეს

ქუთაისის მერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა შერმადინ მიქელთაძემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დივით თარხან-მოურავის წინააღმდეგ სარჩელი 24 მაისს შეიტანა.

შეგახსენებთ, რომ მოსარჩელეს უკამყოფილება თარხან-მოურავის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია. რამდენიმე დღის წინ „პატრიოტების" ლიდერმა მედიის წინაშე აღნიშნა, რომ ქუთაისის მერს პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. მიქელთაძემ თარხან-მოურავს ამისათვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

„თარხან-მოურავმა ბოდიშის მოსახდელად მიცემული ვადა ვერ გამოიყენა, ამიტომ იძულებული გავხდი, სასამართლოში მეჩივლა და ბიუჯეტის სასარგებლოდ სიმბოლურად ერთი თეთრის გადახდა დამეკისრებინა, რადგან ალიანსის ლიდერის განცხადება ერთ თეთრზე მეტი არ ღირს," — აღნიშნა შერმადინ მიქელთაძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

რატომ გარდაიცვალა პატიმარი?

ქუთაისში, ინტერვენციული მედიცინის ცენტრში გარდაცვლილი პატიმრის, ლევა კორტავას თაობაზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

2013 წლის 23 მაისს ზ. ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ცენტრში მსჯავრდებული ლ.კ. გარდაიცვალა.

2013 წლის 12 მაისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებიდან №14 დაწესებულებაში სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით გადაყვანილ იქნა 64 მსჯავრდებული, მათ შორის — მსჯავრდებული ლ.კ.

საცხოვრებელ კორპუსებში გადანაწილების შემდეგ, მსჯავრდებულმა სხეულის სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით — თავის არეში მიიღო დაზიანებები. პირველადი ინფორმაციით, ლ.კ.-მ დაზიანებები პატიმრებს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად მიიღო. ტრავმების გამომწვევ მიზეზებს იკვლევს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

მსჯავრდებულ ლ.კ-ს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში აღმოუჩინეს პირველადი დახმარება, რის შემდეგაც ის დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი ზ. ცხაკაიას სახელობის, ინტერვენციული მედიცინის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ცენტრში. სამწუხაროდ, მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, 2013 წლის 23 მაისს, 12:00 საათზე, მსჯავრდებული ლ.კ. გარდაიცვალა.

გარდაცვალების წინასწარი დიაგნოზია ქალა-ტვინის და ქალა-სახის დახურული ტრამვა, გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. ზუსტი დიაგნოზი ცნობილი გახდება ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ.

მსჯავრდებულის სხეულის დაზიანების ფაქტზე 2013 წლის 13 მაისიდან პროკურატურის ზედამხედველობით გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველო. გამოძიების შედეგები დაუყოვნებლივ გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის.

psnews.ge

სასოფლო-სამეურნეო პროექტი ჩავარდა?

„ჩვენი პროგრამის გარეშე, მოსახლეობის ნაწილი მიწის დამუშავებას საერთოდ ვერ შეძლებდა!“

„P.S.ფოტო“ (ირინა აბჟანდაძე) ©

იმერეთში რამდენიმე ასეულ მიწის მესაკუთრეს ჯერ კიდევ არ მიუღია სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რის გამოც მიწების ნაწილი ამ დრომდე დაუმუშავებელია. სასოფლო ბარათების დაგვიანებას, დაუმუშავებელი მიწების პრობლემას და ამ კუთხით რეგიონში შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა იმერეთის ვიცე-გუბერნატორი ვახტანგ ბალავაძე, რომელმაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილობით მიმართა და ვითარების ადგილზე გაცნობა მოსთხოვა. რამ განაპირობა ეს ხარვეზები და როდის მოგვარდება პრობლემა სრულად? ამის გასარკვევად „P.S.“-მა რამდენიმე კითხვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა. ჩვენს შეკითხვებს სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა **სოფო მდინარაძემ** უპასუხა:

— ბარათების გაცემის პროცესის ძირითად, ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა სოფლის რწმუნებულების მიერ გადმოგზავნილი არასწორად და ხარვეზებით შევსებული მიწის მესაკუთრეთა სიები, რის გამოც საჭირო გახდა სიების რამდენჯერმე გადამოწმება და ჩასწორება, ასევე დამატებითი სიების მომზადება. შესაბამისად, ეს პროცესი დროში საკმაოდ გაიწელა, ამიტომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ბარათები დაგვიანებით მიიღო.

— ხარვეზებია ასევე მიწების აღწერასთან დაკავშირებით. დაახლოებით, ერთი და იმავე ფართობის მიწის მესაკუთრეებს ვაუჩერზე სხვადასხვა რაოდენობის თანხები დაერიცხათ. რამ გამოიწვია ეს უზუსტობა?

— სადღეისოდ, საქართველოში მიწის მესაკუთრეთა ვინაობისა და მათ საკუთრებაში არსებული ფართობების სიდიდის შესახებ ზუსტი ოფიციალური ინფორმაცია არ მოიპოვება. ამგვარად, საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაწყებული მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საკუთარი ძალებითა და მთავრობასთან შეთანხმებით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კორდინირებული მუშაობით, 2012 წლის ნოემბერში დაიწყო კარდაკარის პრინციპით მიწის მესაკუთრეების და მოსარგებლეების შესახებ მონაცემების შეგროვება, ხოლო მიმდინარე წლის 15 იანვრისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკუთარი ძალებით უზრუნველყო აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება და შექმნა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელმაც, გარკვეულწილად, დამატებით მოითხოვა კორექტირება და მონაცემების დაზუსტება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ინფორმაციების დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში და, მათ შორის, კახეთის რეგიონში შემავალ ყველა მუნიციპალიტეტში, ოფიციალურად გადააგზავნა მიწის მესაკუთრეების პირადი მონაცემების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზების ელექტრონული ვერსიები, რათა ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან კიდევ ერთხელ დაკორექტირებულიყო და დაზუსტებულიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა პირადი მონაცემები.

მუნიციპალიტეტებიდან საბოლოოდ მიღებული და დაზუსტებული მონაცემები სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადასამოწმებლად გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა ოფიციალურად დაედასტურებინათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა პირადი მონაცემების სიზუსტე. ცხადია, იმის გამო, რომ მიწის მესაკუთრეთა შესახებ ოფიციალური ინფორმაციის თავიდანვე მოპოვება შეუძლებელი იყო, პროცესი დროში გაიწელა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოახერხა მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამის ბენეფიციართა შესახებ მაქსიმალურად სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება.

— მცირე მიწის მესაკუთრეები კუთვნილი ფართობის დამუშავებას ვერ ახერხებენ, ვინაიდან დიდი ტრაქტორები მათ მიწაზე სიმცირის გამო არ შეჰყავთ. იგეგმება თუ არა სხვა ტექნიკის შეყვანა სოფლებში და როდის?

— 0,25 ჰა-ზე ნაკლებ ფართობებზე პროგრამის მიხედვით არც იყო გათვალისწინებული ხვნა, რადგან დიდი ტექნიკა მცირე ფართობებზე ვერ მუშაობს. მაღალმთიანი რეგიონებისთვის შემოყვანილ იქნა მოტობლოკები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება რთულ რელიეფზე. წელს რისი შესაძლებლობაც იყო, ის რაოდენობა შემოვიდა. მომავალი წლიდან იგეგმება კიდევ დამატებითი ტექნიკის შესყიდვა იმის გათვალისწინებით, თუ რომელ რეგიონში რა ტიპის ნიადაგთან გვექნება საქმე.

— ასევე, აღმოჩნდა, რომ ტრაქტორების ის რაოდენობა, რაც თითოეული სოფლისათვის არის გამოყოფილი, საკმარისი არაა და გლეხს რიგების გამო მიწის დამუშავება უგვიანდება, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს. რამდენად იყო ეს პრობლემა მოსალოდნელი და სამომავლოდ რა ცვლილებები შეიძლება შევიდეს პროექტში; ასევე, ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ახალი პროექტების განხორციელება თუ იგეგმება?

— ზოგადად, ქვეყანაში არსებული სატრაქტორო პარკი საკმარისი არ არის ყველა სახნავი მიწის დასამუშავებლად და ცხადია, რომ სატრაქტორო პარკის სიდიდე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ასეთი მასშტაბური პროგრამის ხარვეზების გარეშე ჩასატარებლად. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმ გლეხების უდიდესი უმრავლესობა, რომელთაც ფართობების დამუშავება დაუგვიანდათ, ჩვენი პროგრამის გარეშე, საერთოდ ვერ შეძლებდა ფართობების დამუშავებას. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა და კონკრეტული გეგმა მალე გახდება ცნობილი.

***

მიუხედავად სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული პასუხებისა, იმერეთის რეგიონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობას ბარათები მრავალჯერადი უშედეგო დაპირების შემდეგ, ჯერაც არ მიუღიათ და შესაბამისი სამსახურებიდან ვერც ბარათების მიღების ზუსტ დროს ვერ იგებენ.

ნესტან ჩაგელიშვილი

წყალში გადაყრილი ათასები

ეს ფოტო იმერეთის ერთ პატარა სოფელშია გადაღებული — ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზრულში. სოფლის შუაში მდინარე ჩაედინება, რომელზეც კომუნისტების დროს კაპიტალური ხიდიც ააშენეს, თუმცა საცალფეხო ბილიკი, რომელიც ბევრად უფრო ამოკლებს გზას, არ დავიწყებია მოსახლეობას. ამ ბილიკის ნაწილი იყო ხის ხიდი, რომელიც ზამთრობით, საიმედოობის თვალსაზრისით, ნაკლებად გამოიყენებოდა. მოსახლეობა ითხოვდა უფრო ფართო ხიდის გაკეთებას, რისი მეშვეობითაც სავალი გზა კილომეტრზე მეტად მოკლდება.

„P.S.ფოტო“ (როლანდ ხოჯანაშვილი) ©

ხიდი სოფელ გეზრულში

რამდენიმე წლის წინ, სოფლის განვითარების პროგრამით გამოყოფილი თანხით, ხის ხიდი აიღეს და, მის სანაცვლოდ, კაპიტალური, ვიწრო ხიდი ააგეს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ იმდენად უმწეოდ გამოიყურებოდა ეს „გრანდიოზული“ ხიდი, რომ სიბრალულის გრძნობა ეუფლებოდა ყველა გადამვლელს. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ის კონსტრუქცია, რომელიც ხიდისთვის იყო გამოყენებული, არ შეესაბამებოდა დანიშნულებას. განათების რკინა-ბეტონის ბოძის გამოყენება ხდება ვერტიკალზე და არა ჰორიზონტზე. — 2013 წლის ზამთარში ხიდი მდინარეში „ჩაწვა!“ დიდთოვლობის გამო არ მომხდარა ეს „წამოსვენება“, რადგან „საოცნებო“ ზამთარი იყო, თითქმის უთოვლო. არც ზემძიმე წონის ადამიანები შემდგარან მასზე. უბრალოდ, საკუთარ სიმძიმეს ვერ გაუძლო განძელმა და ჩატყდა.

მცდელობა, მომეპოვებინა ხიდის მშენებლობის დროს გაწეული ხარჯთაღრიცხვა, ამაო გამოდგა. ხიდის აშენების პერიოდში სოფლისთვის გამოყოფილი 11 500 ლარით რამდენიმე უბნის წყალმომარაგებაც მოხდა, ოღონდ ისე, რომ წყალი მოსახლეობას რამდენიმე თვე მიეწოდებოდა, მერე კი პანტა-პუნტით გადაიწვა ძვირადღირებული ძრავტუმბოები (დაახლოებით, 1000 ლარიანი ღირებულებით), რომელთა ფასიც თავიდანვე იწვევდა ეჭვს. ხალხი ისევ უწყლოდ დარჩა. შედარებით გამძლე ეს ხიდი აღმოჩნდა, მაგრამ... ისიც ტუმბოების მსგავსად წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა. გასაგებია, რომ ეს ყველაფერი სისტემურად იყო დამახასიათებელი საქართველოსთვის, არც დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა უნდათ იმის გამო, რომ პოლიტიკური დევნის ელფერი არ ჰქონდეს, მაგრამ წყალში გადაყრილი ათასები მაინც დააბრუნებინონ, თორემ ვინმეს ციხეში წასვლა რომ არც წყალმომარაგებას აღუდგენს მოსახლეობას და არც წყალში საფუძვლიანად „დაბანილ“ ხიდს ჩააყენებს საექსპლოატაციო ფორმაში, ეს ყველამ კარგად იცის.

მიხედავს ვინმე მართლაცდა წყალში გადაყრილ ათასების საკითხს?

როლანდ ხოჯანაშვილი

მეგა კრედიტი

Mega Credit

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის“ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

თანაგრძნობა

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია უდიდეს მწუხარებაში თანაუგრძნობს ჟურნალისტ მარი პატარაიას და მის ოჯახს დედის — **მზია დონაძე-პატარაიას** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია თანაუგრძნობს სახალხო დამცველის იმერეთის ოფისის ხელმძღვანელს მადონა ბასილაძეს, დედის **ნინელი შალამბერიძე-ბასილაძის** გარდაცვალების გამო.

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის 1973 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი **თენგიზ ფალავანდიშვილი** და მწუხარებაში თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ჩვენს უახლოეს მეგობარს ლაშა გეგეჭკორს თანავუგრძნობთ მამის, **გურამ გეგეჭკორის** გარდაცვალების გამო.

გოგა მინდელი ოჯახით

„ოცნების“ შოუ ვანოსთვის

ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს 7-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება

მე-2 გვერდიდან

„მე აღარ ვპასუხობ ასეთ არასერიოზულ კითხვებს. ისინი საუბრობენ იმისთვის, რომ რაღაც თქვან. აბა, იმას ხომ არ იტყვიან, რომ მათი ლიდერი არის კრიმინალი? დაველოდოთ გამოძიებას. ჩვენ დავარწმუნეთ ყველა, რომ გამჭვირვალე ხელისუფლება ვართ. მე მაქვს პრეტენზია და დღევანდელ შეხვედრაზეც დავაფიქსირე, რომ ჩვენი ხელისუფლება ევროპული ხელისუფლებებისგან არაფრით განსხვავდება,“ — აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით კი, მივიღეთ პრეცედენტი, რომ მომავალში ყველა დაფიქრდება, სანამ ხელისუფლებას დემოკრატიულად გადააბარებს.

„ჩვენ ვასამართლებთ ჩვენს დემოკრატიულ სისტემას, იმიტომ, რომ ჩვენ შარშან შევქმენით პრეცედენტი ხელისუფლების გადაცემისა მშვიდ, უპრობლემო, მეგობრულ ვითარებაში და ახლა ვქმნით პრეცედენტს, რომ ხელისუფლების ასეთი გადაცემა ძალიან საშიში ყოფილა ხელისუფლების გადამცემთათვის იმიტომ, რომ ასეთ გადაცემას მოჰყვა ღვარძლი, შური, შურისძიება და ამგვარად, იმის მაგივრად, რომ ეს პრეცედენტი გამოგვეყენებინა ქართული დემოკრატიის გაძლიერებისათვის, ჩვენ მივიღეთ პრეცედენტი, რომ მომავალში ყველა დაფიქრდება, სანამ დემოკრატიისკენ გადადგამს შემდგომ ნაბიჯს,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა.**

მანვე აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს მის მიერ შექმნილი პოლიცია ხელბორკილებით დაატარებს... ის, რომ ჩვენს მიერ აშენებულ თანამედროვე, განათებულ სასამართლოს შენობებში ხდება ამ პროცესების გამართვა, თავისთავად არ შეიძლება, ისტორიული ირონიის გამოხატულება არ იყოს.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი მერაბიშვილის დაკავებას აფასებს და ამბობს, რომ ნურავის ჰგონია, ორთვიანი დაკავებით მერაბიშვილისნაირი პოლიტიკოსი პოლიტიკიდან გაქრება. — ამის შესახებ მან ltv-ს პრესკლუბში განაცხადა.

„ვანო მერაბიშვილი არის დიდი წონის პოლიტიკოსი და მისი მოხსნა პოლიტიკური სცენიდან ასე მარტივად არ ხდება. აქედან გამომდინარე, ნურავის ჰქონია, რომ ორთვიანი დაკავებით შესაძლებელია, ასეთი წონის პოლიტიკოსი, როგორიც საქართველოში სულ რამდენიმეა — ვანო მერაბიშვილი პოლიტიკიდან გაქრეს,“ — განაცხადა **დიმიტრი შაშკინმა**. როგორც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა აღნიშნა, რჩება შთაბეჭდილება, რომ „აბიჟნიკების“ დრო მოვიდა.

პოლიტიკური ანგარიშსწორების თემას არ ეთანხმებიან ხელისუფლების წარმომადგენლები. როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, ერთი გრამიც რომ იყოს პოლიტიკური ანგარიშსწორება, მსოფლიო ამას არ გვაპატიებს.

„არავითარ პოლიტიკურ შეფასებაზე არ შეიძლება, იყოს ლაპარაკი. მხოლოდ სამართლებრივი შეფასება შეიძლება, პროკურატურამ და სასამართლომ გააკეთოს. მე სხვა ვერაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ ვენდობი პროკურატურას. პროკურატურა არ დაუშვებდა ასეთი რანგის პოლიტიკური ფიგურების დაპატიმრებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. პოლიტიკური დევნა გამორიცხულია. ეს ისეთი საქმეა, რომ ერთი გრამიც რომ იყოს პოლიტიკური ანგარიშსწორება, მსოფლიო ამას არ გვაპატიებს. დარწმუნებული ვარ, პროკურატურა ამ საქმეს არ შეუდგებოდა, მყარი საფუძველი რომ არ ჰქონოდა,“ — განაცხადა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

„PS.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„PS.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„PS.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ყოფილი მთავრობის წევრების დაკავებებს...“

აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიმართ მიმდინარე სამართლებრივ პროცესს.

„აშშ მხარს უჭერს საქართველოში კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობას და სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებას უდანაშაულობის პრეზუმფციის საფუძველზე,“ — განაცხადა **ბრიჯიტ ბრინკმა.**

სამხრეთ კავკასიაში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელის ჟოაო სოარესი კი ამბობს, რომ პოლიტიკური ოპონენტების გისოსებში ჩასმა ვერ გადაჭრის ვერანაირ პრობლემას, პირიქით, ახალს შექმნის.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილის ბორის იაროშევიჩის განცხადებით, „ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის პროცესი ვილნიუსის სამიტამდე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ტესტი იქნება“.

„რა თქმა უნდა, ველით, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იქნება. ჩვენ ასევე აქტიურად ვიქნებით ჩართული მონიტორიგნის პროცესში, როგორც სხვა საქმეებთან მიმართებაში. ეს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტესტია, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინ ვილნიუსის სამიტია,“ — განაცხადა **იაროშევიჩმა.**

მერაბიშვილის დაკავება და „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალი

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის გენერალური მდივნის დაპატიმრებამ უკვე მოახდინა გავლენა „ნაციონალურ მოძრაობაზე.“ სავარაუდოდ, პარტია საპრეზიდენტო კანდიდატს პრაიმერის გზით აღარ გამოავლენს.

„ნაციონალური მოძრაობისთვის“ ძალიან რთული იქნება, ალბათ, განაგრძონ მუშაობა პარლამენტში, ისევე როგორც ეს იყო ადრე და მიიჩნეოდა კოჰაბიტაციის რაღაც ერთ-ერთ გამოვლინებად. სამწუხაროდ, მერაბიშვილის დაჭერის გადაწყვეტილებით სხვა ეტაპი დაიწყო. გვსურდა, რომ პრაიმერი ჩაგვეტარებინა და მეტნაკლებად კანდიდატებიც შერჩეული იყო, თუმცა, ალბათ, ეს შეიცვლება. არსებობს ტრადიციული მეთოდოლოგია, კონსესუსის წესით კანდიდატის შერჩევა, გამოკვლევების საფუძველზე და ა.შ.“ — განაცხადა **გიგი წერეთელმა**.

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკავება არჩევნების შედეგებზე — არა, მაგრამ თვითონ პარტიაზე იმოქმედებს.

„გამორიცხულია, ამან რაიმე შეცვალოს ძალთა თანაფარდობაში. შეიძლება, თვითონ ეს ფაქტი — რეალური კანდიდატის დაკავება — გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მიზნებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მერაბიშვილს მიუსჯიან გრძელვადიან პატიმრობას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება საშუალება, აპელირება მოახდინოს იმ ვერსიაზე, რომ თუ არა ეს დაპატიმრება, პრეზიდენტი ვანო მერაბიშვილი იქნებოდა და მაშინ უკვე გადავა სხვა ჭრილში, რომ ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება. რეალურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, გინდ მერაბიშვილი ყოფილიყო კანდიდატი, გინდ ბაქრაძე, გინდ გაბაშვილი... „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერ კანდიდატს გარანტირებული ექნებოდა დამარცხება, ვინადან დღეს, ხვალ და ზეგ, განჭვრეტად მომავალში „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ახლოსაც ვერ მივა „ქართული ოცნების“ რეიტინგთან. რა იქნება 4-5 წლის მერე, სამომავლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ძნელი სათქმელია, რადგან ისეთ დინამიურ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. თუმცა, მერაბიშვილის დაკავება იმოქმედებს თვითონ პარტიაზე, იმიტომ რომ, „ნაციონალური მოძრაობა“ რიგითი მეომრების ამარა, გენერლების გარეშე დარჩა,“ — განაცხადა **სოსო ცინცაძემ** სააგენტო „პირWელთან“ საუბრისას.

ციტნე პაატაშვილი

ქურდობასა და ბანდიტიზმში ბრალდებული ძებნილი 20 წლის შემდეგ დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყაჩაღობის, განზრახ მკვლელობის, ქურდობისა და ბანდიტიზმის ბრალდებით ძებნილის დაკავების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც სამინისტროს პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, შსს-ს აფხაზეთის ავტონომიური რეს-პუბლიკის მთავარი სამმართველოს და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1992 წლის 16 აგვისტოდან ძებნილი, 1957 წელს დაბადებული თამაზ ც. დააკავეს.

ძებნილი, რომელიც ქუთაისში აიყვანეს, 1992 წელს აფხაზეთში მდებარე დრანდის მე-9 საგამოძიებო იზოლატორიდან გაიქცა. იგი ყაჩაღობის, განზრახ მკვლელობის, ქურდობისა და ბანდიტიზმის ბრალდებით იყო დაკავებული.

მაშინ მოქმედი კანონმდებლობით, ჩადენილი დანაშაულებისთვის თამაზ ც-ს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა მიესაჯა.

იზოლატორიდან გაქცევის გამო, 1992 წლის 15 აგვისტოს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ვერ აღსრულდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თამაზ ც-ს მიერ ჩამოყალიბებული ბანდიტური დაჯგუფება აფხაზეთის ტერიტორიაზე თავს ესხმოდა მძღოლებს, ართმევდა მათ პირად ნივთებსა და ავტომანქანებს, რომლებსაც შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყიდდა.

დაკავებული ამჟამად სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაშია გადაყვანილი.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, ამიტომ სასამართლო მისთვის ახალი სასჯელის შეფარდების შესახებ იმსჯელებს.

ნატო პერანიძე
psnews.ge

ერთ საათში ქუთაისში 5 მაღაზია დააყაჩაღეს

ერთი საათის განმავლობაში ქუთაისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე, 5 მაღაზია დააყაჩაღეს. აღნიშნული ყაჩაღობები, სავარაუდოდ, ერთმა პირმა ჩაიდინა. ის მაღაზიის გამყიდველებს იარაღის მუქარით სძალავდა დღის განმავლობაში ნავაჭრ თანხას. საქმეს იმერეთის სამხარეო პოლიცია იძიებს. სამართალდამცავების განცხადებით, კანონდამრღვევმა შემთხვევით ისარგებლა, რადგან პოლიცია 22 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთან იყო მობილიზებული, სადაც ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა.

ნათია მატარაძე
psnews.ge

USAID-მა და დევნილთა სამინისტრომ ქუთაისში ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს

24 მაისს ქუთაისის ადმინისტრაციულ შენობაში usaid-ის მისიის ხელმძღვანელმა სტივენ ჰეიკინმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გოგი ფაცაციამ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც usaid-ის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების (neo) ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობას გულისხმობს.

ღონისძიებაზე ხელმოწერილ მემორანდუმში მოცემულია ბინათმესაკუთრეთა და მობინადრეთა ამხანაგობების განვითარების მონახაზი, რაც ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალბინიანი შენობების და კოტეჯების ტიპის დასახლებებში აშშ-ის მთავრობის მიერ რეაბილიტირებული საცხოვრებელი ბინების სტაბილური მოვლა-ექსპლუატაციის პროცესს.

„ჰ.ჯ.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

შეხვედრის მსვლელობისას, neo-მ ასევე გამართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, რომელიც შემუშავებულ იქნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის, მართვისა და ზედამხედველობის პროცესში ბინათმესაკუთრეებისა და მუნიციპალური მთავრობის მოხელეების დასახმარებლად.

„ჩვენ შეხვედრა ქუთაისში შემთხვევით არ გავიმართავს, ეს ქალაქი სწორედ იმიტომ ავირჩიეთ, რომ, ახალი პროექტით, დევნილებისათვის აქ შენდება და რემონტდება საცხოვრებელი კორპუსები. საქართველოში მწვავე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი 40000 დევნილი გვყავს, ამიტომ usaid-ის მიერ განხორციელებული პროექტი სასიკეთოდ წაადგება, ქვეყანაში დევნილთა განსახლებისათვის დაწყებულ გრძელვადიან პროცესს," — განაცხადა მინისტრის მოადგილემ **გოგი ფაცაციამ.**

2013 წელს neo-მ წარმატებით განახორციელა ამხანაგობების შექმნის პილოტური პროექტები რუსთავში, ქუთაისსა და სენაკში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა 7 შენობაში და 2 დასახლებაში — ბერბუკასა და ხურვალეთში, რის შემდეგაც სარგებელი მიიღო 429 ოჯახმა.

საცდელი პროგრამისთვის შემუშავებული რესურსების გამოყენებით, ამჟამად ფართოვდება neo-ს მუშაობა, რათა საქართველოს მასშტაბით დამატებით მოიცვას იძულებით გადაადგილებულ პირთა 9 დასახლება და 28 მრავალბინიანი შენობა.

ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის პროექტს, usaid-ის მეშვეობით, აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. პროექტი შემუშავებულია საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და თემების მოსახლეობის დახმარების მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ჩართვა ეკონომიკური ბაზრების საქმიანობებში, ინვესტიციის მოზიდვასა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში.

ინიციატორთა განცხადებით, პროექტი სარგებელს მოუტანს სოფლად მცხოვრებ და სოციალურად დაუცველ, მინიმუმ, 70000 ოჯახს, რომლის მიზანს სწორედ სიღარიბის დაძლევა და დახმარება წარმოადგენს.

ნესტან ჩაგელიშვილი

„დამნაშავე" ვიდეოთვალი

მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად განიხილავენ საკითხს — როგორ უნდა მოიქცეს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების საკმაოდ დიდი არქივი, აწ უკვე დაპატიმრებული წინამორბედისგან „მემკვიდრეობად" ერგო. ყველა თანხმდება, რომ ირაკლი ღარიბაშვილის უწყებამ ფარული ჩანაწერები უნდა გაანადგუროს და ამის საწინააღმდეგო არც თავად შს მინისტრს აქვს. სამწუხაროდ, მხოლოდ ფარული ჩანაწერების განადგურება პრობლემას ვერ აღმოფხვრის. მთავარია, შს ექსმინისტრის, ვანო მერაბიშვილის ის ბრძანება გაუქმდეს, რომლითაც საქართველოში ტოტალური კონტროლი და შსს-ს ცენტრალურ სერვერთან „გლობალური წვდომა" დაკანონდა.

2010 წლის ზაფხულის მიწურულს, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული სასტუმროების მფლობელებს შენობის გარეპერიმეტრზე სპეციალური ვიდეოთვალის დამონტაჟება მოსთხოვეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სერვერთან „გლობალურ წვდომაში" უნდა ყოფილიყო. მანამდე, ასეთი ვიდეოთვალი აფთიაქებსა და კაზინოებშიც დაამონტაჟეს. ხვდებით, ალბათ, რომ ამ გადაწყვეტილების ავტორი საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი იყო. მინისტრის ბრძანება ძალაში 2011 წლის 15 იანვრიდან შევიდა. გაზეთ „ვერსიაში" კი ამ თემაზე ჯერ კიდევ 2010 წლის შემოდგომით ვწერდით, იქამდე, ვიდრე მინისტრის ბრძანება ოფიციალურად შევიდოდა ძალაში. ვანო მერაბიშვილის ბრძანება ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟებას ეხებოდა. აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების ორგანიზატორები ვალდებულები იყვნენ, ისეთი ტექნიკური საშუალებები დაემონტაჟებინათ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩაწერილი ინფორმაციის გადატანას ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე (CD-ზე, ჩიპზე და ასე შემდეგ) — გამოსახულების ხარისხის დანაკარგის გარეშე. გარდა ამისა, თუ აქამდე კამერის ჩაწერის ხარისხში ვიდეოგარჩევადობა 640X480 პიქსელი უნდა ყოფილიყო, ახლა ჩანაწერის გარჩევადობა, არანაკლებ, 3 მეგაპიქსელი — 2048X1536 უნდა იყოს, ხოლო დღეღამის რეჟიმში განხორციელებული ჩანაწერი ადამიანის (ობიექტის) ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას უნდა იძლეოდეს. სავალდებულოა, რომ ვიდეოთვალთვალის აპარატურას ISO სერტიფიკატი ჰქონდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა კაზინოში იმ ადგილზე უნდა დაემონტაჟებინათ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო შეარჩევდა, ხოლო დისტანციური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, აზარტული და მომგებიანი თამაშების ორგანიზატორი ვალდებული იყო, გარეპერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა გლობალურ ქსელთან მიეერთებინა. გარდა ამისა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, მფლობელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის შესაბამისი აქტიც გაფორმდებოდა. მართალია, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში სასტუმროს მფლობელების ვალდებულებები განსაზღვრული არ იყო, მაგრამ, როგორც „ვერსიამ" მაშინ გაარკვია, ეს ბრძანება სასტუმროების მფლობელებსაც ეხებოდა. ფაქტია, რომ სპეციალური ექსპერტიზის გარეშე, სასამართლოში ვიდეო და აუდიოჩანაწერი ნივთმტკიცებად არ ითვლება. ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვწერდით, რომ ამ ტიპის ჩანაწერებს შანტაჟისთვის გამოიყენებდნენ, რადგან სასტუმროში დამონტაჟებული ვიდეოთვალი სწორედ შსს-ს ცენტრალურ სერვერზე იყო მიერთებული. გასაგებია, რომ აფთიაქებში ვიდეოთვალის დამონტაჟება აუცილებელი იყო, რადგან ნარკოტიკული საშუალებების რეალიზების ფაქტები შემცირებულიყო, ამ ტიპის ვიდეოთვალი კაზინოებშიც აუცილებელია, რადგან ყოველთვის არსებობდა ეჭვი, რომ იქ ფულს ათეთრებენ, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით სასტუმროში ვიდეოთვალის დამონტაჟება აშკარად „ნოუ-ჰაუ" იყო ქართულ სინამდვილეში. სამი წლის წინანდელ სტატიაში, „ვერსიამ" ორი მარტივი კითხვა დასვა, რომლებიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია: რატომ არ არსებობს ქვეყანაში კონფიდენციალური ინფორმაციის ცნება და რატომ არ შეიძლება, ნებისმიერი პირის პირადი ცხოვრება დაცული იყოს?

„მოდი, ცოტა ხნით თავი დავანებოთ უხამსი მაგალითების მოყვანას და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ — ადამიანი, რომელიც სასტუმროში მიდის, ბიზნესმენია. დავუშვათ, რომელიმე უცხოურ კომპანიასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის წარმომადგენელი იმ სასტუმროში დაბინავდა, სადაც ბიზნესმენი თავის სავარაუდო პარტნიორს უნდა შეხვდეს. რა გარანტია არსებობს, რომ შსს-ს „გლობალური" თვალთვალის შედეგად, სასტუმროს მფლობელი ან ის, ვინც თვალთვალს აწარმოებს, ამ ინფორმაციას ბიზნესმენის კონკურენტს არ მიაწვდის და გარიგებას არ ჩაშლის? დავუშვათ, სხვა ბიზნესმენი სასტუმროში თავის პარტნიორს ხვდება, სადაც ხელშეკრულება უნდა გააფორმოს, ასეთ შემთხვევაში, მისი კომერციული საიდუმლო არ გამჟღავნდება? უხამს მაგალითებს თავი დავანებოთ-მეთქი, მაგრამ ამის გარეშეც არ გამოდის. შევეცდები, ერთი მაგალითი მაქსიმალურად დელიკატურად აღვწერო: დავუშვათ, რომელიმე პოლიტიკოსი აპირებს, სასტუმროში არც ისე დელიკატური „ვიკ ენდი", საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან მოიწყოს. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამონტაჟებული ვიდეოთვალი კი კარგს რომ არაფერს დააკვირდება, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. ახლა ამ ყველაფერს ისიც დაუმატეთ, რომ წინ 2013 წლის არჩევნებია და ყველაფერი ცხადზე უცხადესია — წინასაარჩევნო კამპანიისთვის ნიადაგი მზადდება. მზადება დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ამ ბრძანებით, აშკარაა, რომ პოლიტიკური კომპრომატების ომი ახალ ფაზაში გადავა. კაცაშვილმა არ იცის, ვის, როდის და რა ჩანაწერს აუფრიალებენ 2013 წელს," — ვწერდით „ვერსიაში". სამი წლის წინანდელ სტატიაში, მაშინდელი ვითარების შეფასება „ვერსიამ" ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ემზარ ჯგერენაიას სთხოვა, რომელმაც განგვიცხადა, რომ არც ერთი უცხოელი ინვესტორი არ დაამონტაჟებდა ამ ტიპის ვიდეოთვალს სასტუმროში, რომელიც „გლობალურ წვდომაში" იქნებოდა შსს-ს სერვერთან:

„ფაქტია, არავინ იცის, ზოგი სასტუმროს მფლობელი რას აკეთებს და რაშია შემჩნეული. შესაძლოა, ეჭვი აქვს ვინმეს, რომ ეს სასტუმრო კი არა, ბორდელია, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება გასაგებია. მოდი, სერიოზულად შევხედოთ ამ ყველაფერს, როგორც კი კამერებს დააყენებენ და ეს ინფორმაცია ოფიციალურად გავრცელდება, ეს ბრძანება აზრს დაკარგავს, რადგან იმ სასტუმროში აღარავინ შევა. კომპრომატების მოძებნა რომ უნდოდეთ, აშკარად კი არ გააკეთებენ ამას, ისე იმოქმედებენ, კაცაშვილი ვერ შეამჩნევს ვერაფერს. ვინმეს თვალთვალი რომ უნდოდეთ, ამისთვის სულაც არ სჭირდებათ განსაკუთრებული კამერების დაყენება და ხელშეკრულების გაფორმება. მაგალითად, კაზინოს შემთხვევაში, გარკვეული ეჭვი არსებობს, რომ იქ ფულს ათეთრებენ, მაგრამ კაზინოში უკვე არის კამერები. ამ ბრძანების შემდეგ, შესაძლოა, ისე დაფრთხეს ადამიანი, რომ კაზინოშიც არ შევიდეს.

რაც შეეხება იმ სასტუმროს, რომელზეც ინფორმაცია მოგაწოდეს და რომლის მფლობელსაც ვიდეოთვალის დამონტაჟება აიძულეს, უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად, რომელი სასტუმროა და რატომ მოსთხოვეს კამერის დამონტაჟება, თუმცა ბათუმის „ინტურისტს" რომ არ მოსთხოვდნენ, ზუსტად ვიცი. ისე, ზოგი, ერთსაათიანი სასტუმრო რომ მართლაც საეჭვოდ მოქმედებს, ესეც ფაქტია."

გლობალური ვიდეოთვალთვალის ბუმი, სამი წლის დიდი მითქმა-მოთქმისა და, გარკვეულწილად, შიშის საფუძველიც კი გახდა. აფთიაქებს, კაზინოებსა და სასტუმროებს სულ მალე, სავალუტო ჯიხურები, ტოტალიზატორები და სლოტ-კლუბებიც მიუმატეს. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ შსს-ს სერვერზე მიერთებული ვიდეოთვალი უკვე კომერციულ ბანკებში დაამონტაჟეს. „ვერსია" ამ თემას კიდევ ერთხელ მაშინ მიუბრუნდა, როდესაც ვანო მერაბიშვილის ბრძანება ძალაში შევიდა. დავინტერესდით, კონკრეტულად რა საკანონმდებლო ცვლილება ან კანონი დაედო საფუძვლად ვანო მერაბიშვილის ბრძანებას, რომელიც 2011 წლის 15 იანვრიდან შევიდა ძალაში? რა ეწერა კანონის განმარტებით ბარათში? „ვერსიას" ამ თემაზე გია ხუროშვილი ესაუბრა, რომელიც მაშინ მთავრობის საპარლამენტო მდივანი იყო:

„ეს არის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, დღეს უკვე მოქმედი კანონის თანახმად, შიდა და გარეპერიმეტრზე უნდა მოქმედებდეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. ეს სისტემა გარკვეულ პარამეტრებს უნდა შეესაბამებოდეს და ექსპლუატაციის წესების დაცვით უნდა დამონტაჟდეს. ეს დღეს უკვე მოქმედი რეგულაციაა რამდენიმე დაწესებულებაში, მათ შორის, ტოტალიზატორებში, კაზინოებსა და სლოტ-კლუბებში, სადაც დანაშაულთა ძალიან დიდი პროცენტი სწორედ ამ ვიდეომეთვალყურეობის სისტემების საშუალებით გაიხსნა. რაც მთავარია, ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის გახსნის მნიშვნელობა აქვს, არამედ ეს არის პრევენციული ხასიათის, როდესაც ადამიანმა იცის, რომ მონიტორინგი ხორციელდება, ხშირ შემთხვევაში, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩადენისგან თავს შეიკავებს. საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით, იგივე რეგულაციები გავრცელდება ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში. რაც შეეხება აფთიაქებს, ამ სისტემის დამონტაჟების აუცილებლობას ორი მიზეზი აქვს, პირველი — რისკი, რომელიც არსებობს ფულთან დაკავშირებით და მეორე — თქვენ იცით, რომ წამლები ძალიან ხშირად დამნაშავეთა სამყაროს სამიზნეა და ეს არ ეხება მხოლოდ ფსიქოტროპულ საშუალებებს, წარმატებით მოიხმარენ სხვადასხვა შემადგენლობის სამკურნალო საშუალებებსაც, რაც ნარკომანების თავდასხმის მიზეზია. აქედან გამომდინარე, აფთიაქებიც რისკის ჯგუფს განეკუთვნება და, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შიდა და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემები დამონტაჟდეს." მართალია, გია ხუროშვილი დაჟინებით გვიმტკიცებდა,

რომ მსგავსი ტიპის ვიდეოთვალი სასტუმროებში არავითარ შემთხვევაში არ დამონტაჟდება და ეს მხოლოდ ქალაქში გავრცელებული ჰიპერ-ჭორიაო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამ გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი, საზოგადოების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა. გია ხუროშვილმა განგვიმარტა, რომ ვიდეოჩანაწერები, უშუალოდ, დაწესებულებებში შეინახებოდა და სხვა უწყებებს ამ ჩანაწერებთან წვდომა არ ექნებოდათ, გარდა კანონით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ფაქტის დაფიქსირებისას, სამართალდამცავ უწყებას უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, ჩანაწერი მტკიცებულების სახით გამოითხოვს. წინა ხელისუფლების პირობებში, მთავრობა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ისე შეაპარებდა საზოგადოებას, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების გაპროტესტებას უკვე პოსტ-ფაქტუმ აზრი არ ჰქონდა. შსს-ს ცენტრალურ სერვერთან „გლობალურ წვდომაში" მიერთებული ვიდეოთვალი კი ჯერ აფთიაქებსა და კაზინოებში, შემდეგ — სასტუმროებში დანერგეს და მინისტრის ბრძანება მხოლოდ ამის შემდეგ აგვიფრიალეს. რაც მთავარია, ბრძანებაში სასტუმროები საერთოდ არ იყო ნახსენები, მაგრამ ეს მაინც რიგითი, ტექნიკური უზუსტობაა და სხვა არაფერი. ჩანს, ვანო მერაბიშვილის უწყებაში მართლაც გამოყვეს სპეციალური საშტატო ერთეული, რომელსაც სხვა საქმე არ ჰქონდა იმის გარდა, რომ 24 საათის განმავლობაში, მხოლოდ სასტუმროებს უნდა დაკვირვებოდა. დღეს უკვე გაირკვა და აშკარაა, რომ ამ ტიპის ფარული ჩანაწერები ერთმანეთზე არ გადაუბამთ, არც ფილმებად აუკინძავთ და არც რომელიმე ეროტიკულ საიტზე აუტვირთავთ — ფარული ჩანაწერები პოლიტიკური შანტაჟისთვის გამოიყენეს. არადა, რომელიმე კონკრეტული ჩინოვნიკის, ან თუნდაც, რიგითი პოლიციელის ბრალეულობა კი არ იკვეთება, ყველაფერში „დამნაშავე" ის ვიდეოთვალია, რომელიც შსს-ს ცენტრალურ სერვერზეა მიერთებული და, შესაბამისად, ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, სასტუმროებში განვითარებულ მოვლენებს, პარალელურ რეჟიმში ადევნებენ თვალ-ყურს.

მაია მიშელაძე

ambebi.ge

Press-კლუბი „საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა (Strongmen) ფედერაციას" მასპინძლობდა

გაზეთ „P.S."-სთან და ინტერნეტ-პორტალ www.psnews.ge-სთან არსებულმა Press-კლუბმა მომდევნო შეხვედრა გამართა. ამჯერად, Press-კლუბი საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციას მასპინძლობდა.

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

„საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ფედერაცია", რომელიც მსოფლიოში Strongmen-ის სახელწოდებით არის ცნობილი, ოთხი წელია, რაც ქუთაისში არსებობს, ხოლო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის არსებობა 30 წელს ითვლის. სპორტის ამ მიმართულების მთავარი მახასიათებელია ის, რომ იგი კონკრეტული ქვეყნების სპორტული და ეთნიკური ტრადიციებიდან იღებს სათავეს. „უძლიერესი მამაკაცები" შეჯიბრის დროს იყენებენ არა ტრადიციულ სპორტულ ინვენტარს, არამედ — ბუნებრივ საგნებს: ლოდებს, ძელებს, ხის მორებს და სხვა. ასპარეზობაც, სწორედ, ბუნებრივი მძიმე წონის სწრაფად გადაადგილებაში იმართება.

ფედერაციის მთავარი ბაზა ქუთაისშია, თუმცა, საქართველოს სხვადასხვა ქალაქშიც აქვთ კლუბები. ფედერაციის სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონთა თასის ჩემპიონატებში. მათი ბოლო წარმატება დუბაიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს უკავშირდება, სადაც მეორე ადგილი ქუთაისელმა სპორტსმენმა, კოტე ჯანაშიამ დაიკავა. Press-კლუბში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე კოტე ჯანაშიამ განაცხადა: „ჩემპიონატში 15 ქვეყანა მონაწილეობდა. შეიხიც კი ადევნებდა თვალს ასპარეზობას. ეს ადგილი მსაჯებთან შექმნილი გაუგებრობის გამო დავიკავე, მქონდა შანსი, პირველი ადგილის დაკავებისა".

სპორტის ამ ექსტრემალურ სახეობას ნაკლებად იცნობენ საქართველოში, შესაბამისად, ნაკლები არის სპორტის განვითარების მიმართ ინტერესი. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ ახვლედიანმა და ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი ფახურიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, მათი მთავარი პრობლემა ფინანსებია. მართალია, ამ ბოლო დროს ადგილობრივი ხელისუფლებიდან ქუთაისის საკრებულო ეხმარებათ, თუმცა ეს საკმარისი არ არის იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც, ძირითადად, საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობებს უკავშირდება.

ნაკრებში ამჟამად 30 სპორტსმენია წარმოდგენილი. ქუთაისის თასის გათამაშება ყოველწლიურად ორმაისობის დღესასწაულზე იმართება. ერთ თვეში ბათუმში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც საქართველოს „უძლიერესი მამაკაცის" თასი გათამაშდება.

ნათია ბილიხოძე

კოპიტნარის და მესტიის აეროპორტების მშენებლობაში კერძო სექტორიც ჩაერთვება

კოპიტნარის და მესტიის აეროპორტების მშენებლობაში კერძო სექტორიც ჩაერთვება. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის უამრავი ფორმა არსებობს და ეს მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული.

„ვფიქრობ, ალბათ, შესაძლებელი იყო ამ პროექტებში კერძო სექტორის მონაწილეობა. ეს არა მარტო აეროპორტს ეხება, არამედ — სხვა პროექტებსაც. მაგალითად, ნავთობის და გაზის კორპორაციის დივიდენდით შენდებოდა მინის ტარის ქარხანა. ეს არაა სწორი ინვესტიცია, რადგან ამ ინვესტიციამ გააჩერა მეორე, კერძო კომპანია, რომელიც თურქული ინვესტიციით იყო დაფუძნებული და სწორედ სახელმწიფოს მხრიდან კერძო კომპანიების მიმართულებით კონკურენცია, აფერხებს კერძო ბიზნესს. ქუთაისის აეროპორტს რაც შეეხება, სახელმწიფო ინვესტიციები მასში ჩაიდო და, ალბათ, შესაძლებელი იყო უფრო მეტი მუშაობა კერძო სექტორთან. ვისურვებდი, რომ ასეთ პროექტებში კერძო სექტორის მონაწილეობა უფრო მაღალი ყოფილიყო. ჩვენ ახლა სწორედ ამ მიმართულებით მივდივართ. მაგალითად, თბოელექტროსადგურებში და სხვა პროექტებში სახელმწიფომ წამახალისებელი, მინორიტარული ინვესტიცია რომ განახორციელოს. სწორედ ამიტომ არის საპარტნიორო ფონდი შექმნილი, რომ მინორიტარულ ინვესტიციებზე იმუშაოს," — განმარტავს მინისტრი.

ambebi.ge

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2030 წელს ღარიბები აღარ იქნებიან

მსოფლიო ბანკის ექსპერტები 2030 წლისთვის მსოფლიოში სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებას პროგნოზირებენ, თუმცა, აცხადებენ, რომ სიღარიბესთან ბრძოლა გაძნელდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აფრიკა და ჩრდილოეთ კორეა.

„ინტერფაქსის" ინფორმაციით, 1990-დან 2010 წლამდე მსოფლიოში სიღარიბის მაჩვენებელი ორჯერ შემცირდა. „თუკი სიღარიბის საერთო მაჩვენებლების შემცირების ტენდენცია შენარჩუნდა, 2030 წლისთვის სიღარიბე, პრაქტიკულად, ლიკვიდირებული იქნება," — აღნიშნავს მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელი ჯიმ ენ კიმი.

მსოფლიო ბანკის იმედისმომცემ პროგნოზს ზედმეტად იდეალურს უწოდებენ ექსპერტები და აღნიშნავენ, რომ ამ დროისთვის მსოფლიოს მოსახლეობა საგრძნობლად გაიზრდება და არსებობის პრობლემა დღის წესრიგში უფრო მეტი სიმწვავით დადგება.

ნატო პერანიძე

psnews.ge

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4 პროცენტით შემცირდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 2013 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

ამ პერიოდში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3006 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებზე 4 პროცენტით ნაკლებია.

3006 მლნ. აშშ დოლარიდან ექსპორტი 785 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტი — 2220 მლნ. აშშ დოლარს.

როგორც სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის იანვარ-აპრილში 1435 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 48 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 785 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 130 მლნ. აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი — 655 მლნ. აშშ დოლარი.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2013 წლის იანვარ-აპრილში 994 მლნ. აშშ დოლარია (2012 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით 0,4 პროცენტით ნაკლები).

აქედან ექსპორტმა 430 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო იმპორტმა — 564 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა და 202 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთელი ექსპორტის 26 პროცენტი.

ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 88 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში — 11 პროცენტს.

მესამე ადგილზე კვლავ აზოტოვანი სასუქების ჯგუფი დაფიქსირდა.

ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 41 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 5 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2013 წლის იანვარ-აპრილში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, რომლის იმპორტმა 247 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 11 პროცენტი შეადგინა.

მეორე ადგილზე იმყოფებოდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 214 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 10 პროცენტი იყო. მესამე ადგილზეა ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი 117 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5 პროცენტი).

ნატო პერანიძე

psnews.ge

ცირა შალაშვილის წიგნის პრეზენტაცია

ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ანა კალანდაძის სახელობის პრემიის ლაურეატის, მწერლისა და ჟურნალისტის — ცირა შალაშვილის შემოქმედებას ახალი წიგნი შეემატა.

„ნათელი ინტერვალები" — ესაა წლობით ნაფიქრალ-ნააზრევი, რომელიც მკითხველს ღრმად ახედებს ავტორის სულში, მსოფლმხედველობაში, იმ სამყაროში, რომელიც აღსავსეა ადამიანური ტკივილითა თუ სიხარულით, სევდითა თუ იმედით.

21 მაისს კერძო სკოლა „გონში" (დირექტორი დარეჯან ჩხიროძე) ამ წიგნის წარდგენა მოაწყვეს. სკოლის პედაგოგებმა და უფროსკლასელებმა წაიკითხეს წიგნში შესული ცალკეული ნაწარმოებები, პოეტის ლექსები, ავტორს მიმართეს არაერთი შეკითხვით.

ქალბატონ ცირას ახალი კრებულის გამოცემა მიულოცეს ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმაც.

სკოლაში გამართული შემოქმედებითი შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თეიმურაზ ლანჩავამ მკითხველისა და ავტორის ძველი, ტრადიციული ურთიერთობისკენ შემობრუნების კარგ მაგალითად მიიჩნია. მან, სიტყვით გამოსვლისას, ასევე იმედი გამოთქვა, რომ ახალგაზრდა თაობაც ისევე მიეჩვევა წიგნის კითხვას და პატივისცემას, როგორც ამას მათი მშობლების თაობა აკეთებდა.

ნანა ქვიშარელი

მილოცვა

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" უფროს ადმინისტრატორს **ემილია ფიოდოროვას** ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ წარმატებას როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სამსახურებრივ საქმიანობაში.

ლელა თოლორდავა

შ.პ.ს „ჯორჯიან მანგანეზი" აცხადებს კონკურსს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში **დასაქმების მსურველთათვის** შემდეგ თანამდებობებზე:

- **მდნობელი**
- **ელ. ამწის მემანქანე**
- **ელ. შემდუღებელი**
- **თბომავლის მემანქანე**
- **ელ. მონტიორი**
- **ხარატი**
- **ზეინკალი**

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომრებზე: 25 03 99; 25 03 58; შიდა — 14 44; 11 64; 11 88. მობილური: 577 23 44 22.

კვირის ჰოროსკოპი

♈ **ვერძი** — თქვენ მუდმივად გაწუხებთ შეგრძნება, რომ ისე არ გაფასებენ, როგორც იმსახურებთ. ვერ გაფასებენ სამსახურში, ოჯახში, მეგობრების წრეში.

♉ **კურო** — თავს დაატანეთ ძალა, რომ რაიმე სასარგებლო გააკეთოთ. კარგი იქნება ისეთ რამეს თუ გააკეთებთ, რაც დიდი ხანია გასაკეთებელია, მაგრამ ვერ პოულობთ დროს.

♊ **ტყუპები** — არაფერი მოხდება, თუ დამალავთ სიმართლეს და ბოლომდე არ გახსნით კარტებს. უმჯობესია, თუ ყველა იფიქრებს, რომ ყველაფერი კარგადაა.

♋ **კირჩხიბი** — კარგი განწყობა გაქვთ, ხასიათი ამაღლებული და მხიარული, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ კვირა დადებითია მთლიანობაში. საყვედურები ვერ გაგიფუჭებთ ხასიათს.

♌ **ლომი** — ეს კვირა დაგამახსოვრდებათ სასიამოვნო მოვლენებით: ახალი ნაცნობობა, ძველ მეგობრებთან შეხვედრა, ახალი გულისწორის გამოჩენა და წარმატება ფინანსურ საქმიანობაში.

♍ **ქალწული** — კარგი კვირაა კულტურული დასვენებისთვის. გადახედეთ აფიშას, კარგი იქნება, თუ თქვენს მეორე ნახევარს დაპატიჟებთ სადმე.

♎ **სასწორი** — ამ კვირას კარგია შოპინგი. იყიდეთ ყველაფერი, რაც მოგეწონებათ. საღამო მაქსიმალურად მშვიდ და კომფორტულ გარემოში გაატარეთ.

♏ **მორიელი** — მოსალოდნელია შორეული ნათესავი გესტუმროთ, ან ისეთი პიროვნება, რომელიც ძალიან არ გესიმპატიურებათ.

♐ **მშვილდოსანი** — საღამოს კინოში წადით, კარგი იქნება მელოდრამას ან ტრილერს თუ ნახავთ. შეეცადეთ დაივიწყოთ საკუთარი პრობლემები.

♑ **თხის რქა** — ნუ დახარჯავთ დროს და ენერგიას უქმად. უმჯობესია, კონცენტრირება მოახდინოთ ისეთ საქმეებზე, რომლებიც ნამდვილად მნიშვნელოვანია.

♒ **მერწყული** — დაფიქრდით, რისი გაკეთება შეგიძლიათ ყველაზე კარგად. იქნებ კერვა ან ქსოვა გეხერხებათ, ან სამზარეულოში ხართ ნამდვილი ოსტატი.

♓ **თევზები** — არ მიგიწევთ გული ოჯახური საქმეებისკენ, ღამის ცხოვრება გიტაცებთ. სურვილი გაქვთ დაივიწყოთ, რომ რამე გაქვთ გასაკეთებელი, მთელი ღამე გინდათ კლუბში გაერთოთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ანონიმი. 5. ეკალი. 6. არა. 8. პაი. 9. მირეი. 11. იმპორტი.
შვეულად: 1. ბოთლი. 2. მიუ. 3. ანკლავი. 4. ისრაელი. 7. ჰიდრა. 10. უპა.

1	4	8	5	6	9	3	2	7
3	7	2	8	4	1	9	6	5
6	5	9	7	2	3	4	8	1
5	2	3	4	9	7	8	1	6
9	8	6	2	1	5	7	4	3
7	1	4	3	8	6	2	5	9
2	6	7	1	3	8	5	9	4
4	9	5	6	7	2	1	3	8
8	3	1	9	5	4	6	7	2

„პოსტსკრიპტუმის“ საქველმოქმედო აქცია: „გავაძლიეროთ მომავალი თაობის წიგნიერება“

დამოუკიდებელი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“, რამდენიმე თვეა, საკუთარი სახსრებითა და მხარდამჭერი ადამიანებისა თუ კომპანიების თანადგომით, ახორციელებს სოციალურ პროექტს — „გავაძლიეროთ მომავალი თაობის წიგნიერება.“

„P.S.“ ფოტო“ ©

პროექტის მიზანია, ბოლო დროს წიგნს ჩამოცილებული მოსწავლეები კვლავ წიგნს დაუბრუნდნენ. ამისთვის გაზეთმა „P.S.“-მა, პროექტის ფარგლებში, 20 მაისს პირველი საქველმოქმედო აქცია განახორციელა და მხარდამჭერთა მიერ გაღებული თანხებით შეძენილი წიგნები მათივე შერჩეულ 7 სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა.

საქველმოქმედო აქციის პირველ ეტაპზე მოხვდნენ ქალაქ ქუთაისის პირველი, მესამე და მეთექვსმეტე საჯარო სკოლები, აფხაზეთის მეხუთე საჯარო სკოლა, კერძო სკოლები — „ქართული სკოლა“ და ქართულ-ევროპული სკოლა. შერჩეულთა რიცხვში მოხვდა ქვიტირის საჯარო სკოლაც.

პროექტის პირველი მხარდამჭერები არიან: კომპანიები „სარაჯიშვილი“, „ნატახტარი“, „ვისოლი“, „ბილაინი“, რესტორანი „აფხაზეთი“; სიაში ადგილობრივი ქველმოქმედებიც მოხვდნენ: სს „ცენტრალური ავტოვაგზალი“, შპს „აია ტექსტილი“, შპს „აკა ჯგუფი“, „კულა“, შპს „ფარი“(ცენტრალური ბაზარი), შპს „დაჩი 11“(საბილიარდო), თემურ ნიკოლაძე, ინდ. მეწარმე ვარლამ დათაშვილი და ინდ. მეწარმე ბესარიონ შათირიშვილი, „მონოპოლი“ (სახაჭაპურე).

სკოლების დირექტორები და პედაგოგები გაზეთ „P.S.“-ის აქციას კმაყოფილებით შეხვდნენ და იმედი გამოთქვეს, რომ გაზეთის ქველმოქმედებას მომავალში სხვა კომპანიები და რიგითი მოქალაქეები შეუერთდებიან, რადგან სკოლისათვის წიგნზე უკეთესი საჩუქარი არ არსებობს. მათივე აზრით, ეს აქცია პირველი წინ გადადგმული ნაბიჯია მოსწავლეების წიგნთან დასაბრუნებლად.

რუსუდან ჩოგოვაძე, ქვიტირის საჯარო სკოლის დირექტორი: „უღრმესი მადლობა ამ პროექტის ინიციატორს. რა შეიძლებოდა, სკოლისათვის უკეთესი ეჩუქებინათ? საჩუქარს შორის წიგნი ყველაზე დიდი საჩუქარია. იმედია, მომავალში, ღვთის წყალობით, გაგრძელდება მსგავსი სახის აქცია და სხვა ორგანიზაციებიც მიიღებენ მასში მონაწილეობას.“

ნატო ბენდელიანი, აფხაზეთის №5 საჯარო სკოლის დირექტორი: „ალბათ, გამომდინარე ჩვენი სახელწოდებიდან, ეს საჩუქარი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენი სკოლა 1997 წელს დაარსდა და დიდი საწიგნო ფონდი არ გვაქვს. ყოველნაირად ვცდილობთ ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნებას, მაგრამ საკმარისი ფინანსების არ არსებობის გამო ვერ ვახერხებთ. ეს ნამდვილად კარგი ჟესტია გაზეთ „P.S.“-სგან, რისთვისაც მადლობას ვუხდით მის ხელმძღვანელობას. საჩუქარი კი ნამდვილად საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენს მოკრძალებულ ბიბლიოთეკაში.“

გაზეთის სარეკლამო მენეჯერის, **ლელა თოლორდავას** განცხადებით, აქცია სისტემატურ ხასიათს მიიღებს და სამომავლოდ, ქალაქის მასშტაბით არსებულ თითქმის ყველა სკოლას მოიცავს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქიმერიონი
qimerioni.ge

წიგნები შენ გელოდება!

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: (790) 927 927.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

სატირა(ლი)
ქაიხოსრო იმერეტინსკი

რა ფულია 50 ლარი?

თქვენი ქაიხოსრო ბაბუა მარშუტკაში გახლდათ. ჩემ უკან ვინცხა დარბაისელი ქალბატონები რაღაცას ლაპარაკობდენ ერთმანეთში და ქე მივაყურადე...

რა მომხთარა თურმე! ვანში ყოფილან ეს ქუთაისელი პედაგოგები ვინცხას გასვენებაში. ქალაქში დაბრუნებულებს უთქვიათ, მოდით, საცხა ერთათ დავჟდეთ, გული გადავაყოლოთ, გევიხსენოთ ამბებიო. ოუკრეფიათ ფული, შესულარიენ „ტორპედოს“ ბაზის უკან, მუხნარში რო ბარი თუ რესტორანია, იქანა. მიუციათ მსუბუქი „ზაკაზები“ — მთავარი ჭამა ხვარაა, კაცო, ამ ადამიანებს ერთათ ყოფნა უნდოდათ. მარა რაი, დოუანგარიშებიათ იქანა ამათი შეკვეთები, შოუჯამებიათ და, რავარც ერთი სათვალიანი, თავიქალი მარშუტკაში ყობოდა, ქე გამოუშვიათ უარით: 50 ლარი რაის ფულია, მეტს თუ არაფელს შოუკვეთავთ, ამ ფასათ, აპა, ჩვენს რესტორანში ვერ შემოგიშვებთო!

შეჩქვიფებულან ეს დარბაისელი, პატიოსანი ქალები — ნამდვილათ ქუთეისია, თუ საცხა, ევროპაში მოვხვთით, უბრალო ადამიანებს ფეხს რო არ გვადგმევიენ ამ კვების ობიექტშიო. როის მერე დანაწილდა ჩვენ ქალაქში მდიდრების და ღარიბების რესტორნებიო!

ვაი, თქვენ მოგიკვტათ ქაიხოსრო ბაბუა, ჩემო დაჩაგრულო გოგუებო! ეტყობა, იქანა პარლამენტარები და მინისტრები ყავენ მიჩოული და იმგენის ფულის იმედით მუშაობს მაგი რესტორანი, თვარა, 50 ლარი თუ ქუთეისში ფული არაა და, აპა, რაია? ღმერთმა ნუ ქნას და, პარლამენტი თუ წეიღენ თფილისში, მერე ნახეთ: პონჩიკების ფულსაც არ დეიწუნებენ ამ რესტორანში!

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

სამწუხაროდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახლანდელი ხელმძღვანელი, **ანდრო ბარნოვი**, ვერავინ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

გიგი უგულავა

ია ფარულავა

„ვერ მოვასწარი ნაცების დაცვა,
თუმც მათი ტრფობა სულ
დამაქვს უბით...
მე გიჩვენებდით კაცების აცმას,
რესტორანში რომ დამცლოდა
ჩხუბი!“

ნანა თოდუა

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**